№ 107
მაისის 23, ხუთშაბათი, 1902 წ.

1877

ივერია

№ 107
მაისის 23, ხუთშაბათი, 1902 წ.

1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДЕЗЕЛАСЬ ГАМО ШЕМДЕГИ № ГАМОЦВА ШАБАТС, 25 МАИСС.

მაისის 16-დგან „ივერიის“ რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეის №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით. (10—6)

პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

ღირს **შვიდ მანეთად** და **ხუთ შაურად** (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).

ზუნეში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ზუნეში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

შაბათს, ივნისის 1, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

თავ. სვიმონ თომას ძის ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ძენი და ასულნი განსვენებულისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება ათ საათზედ. (1—351—1)

1902 წ., მაისის 26 დღესა,

სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება

სეირნობა სამადლო გაზრითა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ბაზრობა იქნება ნაშუადღევის 3 საათიდგან საღამოს ათ საათამდე. იქნება ცეკვა, საყმაწვილო გასართობი და სურპრიზები.

ბაღში დაუკრავს მუსიკა ორ გუნდად და ზურნა. შემოწირულება უნდა გაეგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 21).

სამშობიარო თავშესაფარი

ჰ. ვ. ბაბინა-ლატიშოვისა.

მოწყობილი ოთახები ორსულთა და მშობიარეთათვის ფასით.

ოთახები საიდუმლო ავადმყოფთათვის.

ნიკოლოოზის ქუჩა № 46, მეორე სართული, ტელეფონი № 744. (3—1)

„მოსწავლე სტუდენტთა დამხმარეს, კავკასიის საზოგადოების“ წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია მაისის 28, საღამოს 8 საათზედ „საარტისტო საზოგადოების“ სადგომში თანამდებობის კაცთა ასარჩევად 1902 წლისათვის. გამგეობა აუწყებს წინდაწინვე წევრთ, რომ ამ კრებაზედ და შემდეგს სხვა საზოგადო კრებაზედაც შეუძლიანთ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმ წევრთ, რომელთაც წლიური საწევრო შესატანი უკვე გადახდილი აქვთ. (2—1)

მაისის დამლევს დაიწყება

არტისტული მოგზაურობა

ტფილისის ქართულ დრამატიულ დასისა

ვალერიან გუნიას გამგეობით

მსახიობნი ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვანი.

დროგამოშვებით მოწვეული იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილი

დასი თითო ან ორ-ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ზუგდიდში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კავკავში, ბაქოში, ალექსანდრეპოლში, განჯაში და ყარსში.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება, პიესები ახალი და მოწონებული საზოგადოების-მიერ წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვ. ალ. გუნია.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს

ორს პრემიას 200 მან. ₾ 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზედ დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზედ არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზედ რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (3—უ.—2)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა **მაისის 25 დღეს**, შაბათს, საღამოს **შვიდ საათზედ**, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. წლიური (პროტოკოლებს გარდა) ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა.

2. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის.

3. კერძო მოხსენებანი (პროტოკოლის შედგენის შესახებს გარდა).

4. არჩევანი მაგიერ გამგეობის ორის წევრისა ბ. ი. გომართელისა და ა. სარაჯიშვილისა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრის ბ. ნ. გოგიტიძისა, რომელთაც წევრობას თავი დაანებეს.

5. არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებისა ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. ნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გაქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

კ. ი. გაქელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამგაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოლინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

I

მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკკლესიო სკოლათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ, შეერთებულ მწერლობის, მეცნიერებათა და ვაჭრობისა კანონთა, სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტებში და საზოგადო კრებაზედაც განიხილა-რა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მიერ წარმოდგენილი პროექტი მართლმადიდებელის სარწმუნოების საეკკლესიო სკოლათა დებულების შესახებ, დაადგინა:

I. პროექტები: 1) მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკკლესიო სკოლათა და 2) და მეორე-კლასიან და საეკკლესიო-საოსტატო სკოლათა შესახებ წარედგინოს მისს იმპერატორებით უდიდებულესობას დასამტკიცებლად.

II) გამოსაცვლელად და დასამატებლად სათანადო კანონდებულებათა: 1) მეორე-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო და საოსტატო სკოლების სამხედრო ბეგარის შეღავათის გადახდის შესახებ, ეკუთვნიან მეორე ხარისხის სასწავლებელთა, ერთ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლები-კი მესამე ხარისხისას.

2) იმ მოწაფეთ, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო სწავლა არ დაუმთავრებიათ მეორე-კლასიან საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში, სამხედრო ბეგარის გადახდაში ეძლევათ იგივე უფლებანი, რაც დასაკუთრებული აქვთ მესამე ხარისხის სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ; საეკკლესიო-საოსტატო სკოლებისა-კი ის უფლებანი, რაიც მათ ზემოხსენებულ სასწავლებელში შესვლამდის ჰქონდათ (მუხ. 36 და 48 მართლ-მადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკკლესიო სკოლების დებულებისა.)

3) კენჭის ამოღების შემდეგ სწავლის დასასრულებლად ჯარში შესვლის ვადა: საეკკლესიო-საოსტატო სკოლების მოწაფეთ, თუ ისურვებენ, გადაედებათ იმ დრომდის, მინამ 22 წლისა შესრულდებოდნენ.

4) მოწმობანი პირველ-დაწყებითი სასწავლებლებში სწავლის დამთავრების შესახებ ერთ-კლასიან სამრევლო სკოლების, წერა-კითხვის და საკვირაო სკოლების მოწაფეთ მიეცემათ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოთა სამაზრო განყოფილებისგან იმ წესით, რომელიც დამტკიცებულია მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყებისაგან.

5) საეკკლესიო სკოლებს უფლება აქვთ გაგზავნონ უფასოდ მათ საქმეთა შესახებ წიგნები ან სხვა რაიმე საგნები წონით არა უმეტეს ერთის ფუთისა უფასოდ.

6) პირობანი და წესი საერო განათლების სამინისტროს უწყების პირველ-დაწყებითი საერო სასწავლებლებისა და საეკკლესიო სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ იმ ადგილებში, სადაც უკვე არს უწყების ამა თუ იმ სკოლები, დადგენილ იქმნება უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის და საერო განათლების მინისტრის მიერ ერთმანეთთან შეთანხმებით.

7) ცემისაგან განთავისუფლებულ არიან: ა) მასწავლებლები და მზრუნველნი მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკკლესიო სკოლებისა, ბ) მოწაფენი ზემოხსენებულის უწყების საოსტატო სკოლებისა, როგორც ზემოხსენებულ სკოლებში სწავლის დროს, აგრეთვე გათავების შემდეგ.

ზემოხსენებული დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი და მათში მოხსენებული დებულებანი და შტატები ამა 1902 წლისა 1 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა და ბრძანა, რათა სისრულეში მოყვანილ იქმნას.

ნამდვილზედ საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით დაწერილია:

„იყვეს ესრედ“.

ს. პეტერბურგში,
1902 წ. 1 აპრილს.

II

უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნა 6 მაისს, 1902 წელსა:

ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით პოდოლის ქორ-ეპისკოპოსი კირიონი.

საქართველოს საექსარხოსოში:

ა) წმიდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით: დეკანოზი მიხეილ მძინარაშვილი.

ბ) მეორე ხარის. ანნას ორდენით: დეკანოზი ისაია იორდანიშვილი, დეკანოზი გიორგი იტონიაშვილი, დეკანოზი იოანნე ინაშვილი, ზედამხედველი სენაკის სასულიერო სასწავლებლისა არხიმანდრიტი გიორგი, დეკანოზი სიმონ ქავთარაძე და დეკანოზი დიმიტრი მახათაძე.

გ) წმიდა ანნას მესამე ხარისხის ორდენით: არქიმანდრიტი დოსითეოსი, მღვდელი იოდიონ ნანობაშვილი, მღვდელი დიმიტრი კალატოზიშვილი, მღვდელი მიხეილ ვარდიაშვილი, მღვდელი მათე მირიანაშვილი, მღვდელი ილარიონ იაშვილი, სოფ. ლენჯეხის ეკკლესიის იღუმენი კლიმენტი.

დ) გულის ჯვრით მისის იმპერატორებით უდიდებულესობისაგან ნაბოძებით—წინამძღვარი მოწამეთის მონასტრისა არქიმანდრიტი ბესარიონი.

—

ანნას მესამე ხარისხის ორდენით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სტატსკი სოვეტნიკი ანთიმოს გორგაძე.

—

ენქერით—ქ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის დეკანოზი რაჟდენ გიგაური.

დეკანოზობის ხარისხით:—დ. ხონის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბასილ ქუთათელაძე და მღ. ე. მაჭარაძე.

იღუმენის ხარისხით:—წინამძღვარი იონ. ზედაზნის მონასტრისა ბერ-მონაზონი გერასიმე.

მკერდის ჯვრით უწმ. სინოდისაგან ნაბოძებით—მღვდელი ბართლომე იანქოშვილი, მღვდელი სიმონ ინდუაშვილი, მღვდელი გიორგი ჭელიძე, ხაზინადარი იოანე ნათლის-მცემლის მონასტრისა ბერ-მონაზონი ათანასე; მღვდელი იესე გაბელაშვილი, მღვ. სიმონ ჭალაგანიძე, მღვდელი ეგნატე თათარიშვილი, მღვ. ისიდორე ბერაია, მღვდელი ექვთიმე ტალაკვაძე, მღვდელი პეტრე ხოჩოლავა; თანაშემწე სამგრელოს სასულ. სასწავლებლის ზედამხედველისა ბერ-მონაზონი დავით, ბერ-მონაზონი ფილიმონი, ბერ-მონაზონი თემისტოკლე, ბერ-მონაზონი ექვთიმე.

კამილავკით—მღვდელი სილიბისტრო ხუნდაძე, მღვდელი გიორგი ჩაგუნავა, მღვდელი ბორის ვენიამინოვი, მღვდელი ვასილი ნათაძე, მღვდელი ალექსი ეპიტაშვილი, მღვდელი ერმალოზ ედილაშვილი, მღვ. იოსებ ტუკუშევი, მღვდელი ნიკოლოზ მაჭავარიანი, მღვდელი გიორგი გულაძე, მღვდელი დავით კავკასიძე, მღვ. დავით გიორგობიანი, მღვდელი იოანნე სალაძე, მღვდელი ტატიანე მიქაძე, მღვდელი იასონ ჩხიკვაძე, მღვ. სპირიდონ ცირიკაძე, მღვ. სპირიდონ გორდულაძე, მღვდელი სიმონ კანდელაკი, მღვდელი ილარიონ ციკორიძე, მღვდელი იოანნე ვეფხვაძე, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე. მღვდელი თომა დუგლაძე, მღვდელი ვლადიმერ აბრამიშვილი, მღვდელი ვასილ დოლაბერიძე, მღვდელი სილიბისტრო ჩხაიძე, მღვდელი პეტრე მატკავა, მღვდელი იაკობ სიხარულიძე, მღვ. ნიკოლოზ ჩხაიძე, მღვ. მაქსიმე თოდუა, მღვდელი ნესტორ კონტრიძე, მღვდელი ფილიმონ ბროკიშვილი, მღვდელი იოანნე კეკელია, მღვდელი ბესარიონ ელიავა, მღვდელი საბა გვასალავა, მღვდელი არსენ საბაშვილი, მღვ. ავქსენტი თვალთვაძე, მღვდელი ივლიანე ოსიძე.

უწმიდესის სინოდის ღოცვა-კურთხევით გრამატით მღვდელი დიმიტრი მეტრეველი, ხობის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სიმონი.

—

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი არქიმანდრიტი გიორგი დანიშნულ იქმნა საქართველოს სინოდის კანტორის წევრად და ქართულ-კახეთის ეპარქიის იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვრად.

—

იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის შუამდგომლობის თანახმად, მღვდელნი: 1) ს. ბაბის წმ. გიორგის ეკკლესიისა იოსებ გორგაძე, 2) ს. ხვანჩკარას წმ. გიორგის ეკკლესიისა ვლადიმერ ფოფხაძე, 3) ზოვრეთის წმ. გიორგის ეკკლესიისა ლავრენტი ფერაძე, 4) ს. ზემო-სხვავის სამების ეკკლესიისა იოანნე გიორგობიანი, 5) სოფ. ვაკისუბნის წმ. გიორგის ეკკლესიისა მიხეილ მესხი, 6) სოფ. პატრიკეტის წმ. გიორგის ეკკლესიისა ილარიონ ლეჟავა, 7) ს. ყუმისთავის წმ. გიორგის ეკკლესიისა მათე ხელიძე, 8) ს. ბანოჯას წმ. გიორგის ეკკლესიისა იოანნე ცქიტიშვილი, 9) ს. ძველ-ღანირის ეკკლესიისა ბესარიონ ვაშაკიძე, 10) ს. სკანდის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა ზოტიკე ჩიკვილაძე, 11) ს. ითხვისის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიისა ვლადიმერ კაპანაძე, 12) ს. ტყემლუანის ღვთის-მშობლის ეკკლესიისა იოტ ჩინჩალაძე, 13) ს. სადემტრაოს წმ. გიორგის ეკკლესიისა გიორგი ფოცხვერაშვილი, 14) სოფ ზემო-მესხეთის წმ. გიორგის ეკკლესიისა ვასილი კანდელაკი, 15) იმერეთის საეპარქიო დედათა სასწავლებელში სჯულის მოძღვარი სპირიდონ ლეკვეიშვილი, მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ალექსის მიერ დაჯილდოვებულ იქმნენ სკუფიით.

ტფილისი, მაისის 23.

ჩვენს მკითხველს, უეჭველია, ეხსომება, რომ ამას წინად დაარსდა „სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება“, ამ საზოგადოების კრება შესდგა და კრებამ კიდევ გამგეობა ამოირჩია. თუმცა კრებას, რუსთა და ქართველთა გარდა, სომეხნიც დაესწრნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი გამგეობის წევრად არ მოჰყვა. ეს ამბავი უსაბედოდ და შემთხვევით მოხდა,—აქ არც გაფიცვასა და არც სხვა გვარ საარჩევნო ხრიკს და ოინსა ადგილი არა ჰქონია. მაგრამ ვანქის უბნის პუბლიცისტებმა საგანს სხვაფრივ შეჰხედეს და სულ უბრალო და უმზაკვრო ამბავი საეროვნო მძულვარებად გარდაქმნეს, და მერე მორთეს ერთი განგაში, ასე გასინჯეთ, ნება დაურთველად ჭირისუფლადაც-კი დაუდგნენ სომხობას და გაბეს მითქმა-მოთქმა—სომხების გაშავება უგუნურება და შეცდომაოო... ჯერაც ეს არა-მკითხე ჭირისუფლობა არ გათავებულა და თუ მალე არ დაბოლოვდა, უეჭველია, შესაფერს ნაყოფს მოიტანს: ზოგი სომეხი კიდეც დარწმუნდება, რომ ქართველობა აღჭურვილია მძულვარებით სომხობის მიმართ და სომეხნი ამიტომ გააშავეს არჩევნობის დროსაო. ყველაფერი მოსალოდნელია, როცა პუბლიცისტს წინ-დახედულობა არ მოეპოვება და ალალ-ბედობაზედ როშავს, რაც-კი ენაზედ მოადგება ხოლმე. დონკიხოტობაა სომხების გაშავებაო... კარგი და პატიოსანი, ხოლო ჩვენმა გაზეთმა იმ თავითვე გამოაცხადა, რომ „სომხების გაშავების განზრახვა არავის არა ჰქონდა, არც რუსსა და არც ქართველსა“... „რუსებმა და ქართველებმა ერთი-ერთმანეთს უნებლიად მისცეს მხარი და ამგვარად ორმა წილმა ერთს წილს აჯობაო“ („ივერია“, № 96). მაგრამ სომხობის ახლად მოვლენილნი ვექილნი ამ გულახდილი პასუხით არ დაკმაყოფილდნენ და ჩვეულებრივს საშუალებას მიმართეს—მოხსნეს ლანძღვისა და ორევის გუდას პირი.

საყურადღებო უფრო ის არის, რომ ამ სასახელო გუდის მოტრფიალენი და პატრონნი ჩვენვე გვიკიჟინებენ სალიტერატურო ზნეობის დაცემას, ამ ზნეობის გათახსირებას და წყევითა და კრულვით იხსენიებენ—სათქმელადაც-კი სათაკილოა!—მთლად ქართულ ლიტერატურას, რომელმაც ესოდენი ზნეობრივი მადლი და ძალა მიანიჭა ჩვენს საზოგადოებას.

აიღეთ „ცნობის ფურცლის“ № 1809, წაიკითხეთ არჩილ ჯორჯაძის „ჩვენებური კამათი“ და უმალ დარწმუნდებით,—თუ რაოდენად შმაგდება და გონებით ბრმავდება ჩვენებური „ცრუ ლიტერატორი“, როდესაც მოწინააღმდეგე იმას ბალი-ალობით არ ეპყრობა, თავის აზრს იცავს, სიტყვას თამამად უბრუნებს და შესაფერის პასუხით ამკობს. მეტად საინტერესო იქნებოდა ჩვენის ვაუბატონების ზნისა და ჩვეულების დასასურათებლად მკითხველს მთლად გადაეკითხნა კამათი «სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების„ გამო. „ივერიას“ ამ კამათის დროს იოტის ტოლადაც არ შეულახავს ლიტერატურული ზრდილობა და მხოლოდ აღნიშნა, რომ ვანქის უბნელმა პუბლიცისტებმა ბუზი აქლემად გადააქციეს და უნებლიეთის „ინციდენტის“ გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრეს და ამის მიზეზი ისიც იყო, რომ „ცნობის ფურცლის“ ორი მოღვაწე გამგეობის წევრებად არ ამოირჩიესო...

ვსთქვათ, მართლა, ეს მოღვაწენი არაფერ შუაში ყოფილან, მაგრამ აქ რა დამნაშავეა ჩვენი ლიტერატურა, რომელსაც ასეთს ცილს სწამებენ ჩვენი გალაღებულნი და თავ-აწყვეტილნი პუბლიცისტნი?—„ამ ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთობაშია, ამბობს არჩილ ჯორჯაძე, ეოველი აზრი, ეოველი ბრინციპი, ეოველი წმიდა გრძნობა და გულწრფელი მისწრაფება გაქელდი და წაბილწულიაო“... აი, ლიტერატურის დაფასება და მისი ღირსების დაცვაც ამას ჰქვიან? თურმე ჩვენი საეროვნო გონებრივი სალარო ნამდვილი სოდომი და გომორი ყოფილა! მაშ, რაღა იმედი დარჩენია საბრალო საქართველოს?—მაგრამ ყველამ კარგად იცის, თუ რამე აზრი, პრინციპი და წმინდა გრძნობა მოეპოვება ქართველობას, ეს ძვირფასი საუნჯე უმწიკვლოდ შენახულია მის საეროვნო ლიტერატურაში, რომელიც ჩვენის ერის წმიდა საუნჯეს შეადგენს. ამაოდ ეპოტინება უღირსი ხელი ამ საუნჯეს. იგი ხელი ერის წმიდათა-წმიდას ჭუჭყს ვერასოდეს ვერ მოსცხებს...

ყველა ქართველი, რომელსაც ნათელი გონება და სპეტაკი გული აქვს, სასოებითა და ნუგეშით შესტრფის თავისს ლიტერატურას, ჰხარობს მისის სიხარულით, სწუხს მისის წუხილით, ხსნასა და შველას ამ ლიტერატურისაგან მოელის. არჩილ ჯორჯაძე-კი ამდგარა და წყევითა და კრულვით იხსენიებს ჩვენს ლიტერატურას, რომელმაც ესოდენი ბრწყინვალე აზრი, მაღალი პრინციპი და წმიდა გრძნობა მოჰფინა ქართველ ერსა! სწორედ ნამდვილ პირქუშ კერპის რისხვა გაგონდებათ, როდესაც „ჩვენებურს კამათსა“ კითხულობთ. არჩილ ჯორჯაძეს რომ ჰკითხოთ, ქართველ ლიტერატორზედ უბადრუკი ან უღირსი არსება ქვეყანაზედ სხვა არ მოიპოვება,—ქართველი ლიტერატორი ჯაშუშიაო, ინკვიზიტორი, ღირსება-ახდილი, ნამუს-გამოლეულიო“... ასეთს საშინელს ბრალდებას ხომ საბუთიც ესაჭიროება. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ამას როდი დაგიდევს: იმისთვის მარტო საკმაოა, რომ „ივერიამ“ ვითომდა უღირსად მოიხსენია ალ. ჯაბადარი და გ. ლასხიშვილი, თითქო მართლა ეს პატივცემულნი ტოლნი მთლად ქართულ ლიტერატურას შეადგენდნენ და მათი შელახვა ჩვენის ლიტერატურის დაღუპვა და წარწყმენდა იყვეს. უფრო დიდნი და ნიჭიერნი შეულახავთ, მაგრამ ამ მიზეზის გამო ქართული ლიტერატურა წყევითა და კრულვით არავის ამოუგდია და ისრე უღირსად ამ ლიტერატურას არავინ მოჰკიდებია, როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე კადრულობს. და აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ ეს ვაუბატონი იმავე დროს ლიტერატურულ ზნეობას ჰქადაგებს! მეტი-ღა ჭთავ-ბოლობა და აბდა უბდაობა აღარ გაგონილა!..

არჩილ ჯორჯაძე ქართულ ლიტერატურის საერთო კილვასა და კიცხვას როდი სჯერდება და კერძოდ „ივერიასაც“ ამკობს თავისებურად: „განა „ივერიის“ ხანგრძლივმა გამოცდილებამ ახალ რედაქციას სხვა არა უანდერძა-რა, გარდა ფუქსავატობისა, უპრინციპობისაო“?.. რასაკვირველია, მკითხველმა საზოგადოებამ უფრო უკედ უწყის, რაც უანდერძა ჩვენის გაზეთის გამოცდილებამ ახალ რედაქციას. აგერ ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც „ივერია“ საზოგადოებას ემსახურება და ამ გაზეთის ანდერძი ყველასთვის ცხადია. ხოლო საკითხავი ის არის, არჩილ ჯორჯაძემ რაღა უანდერძა „ცნობის ფურცელს“? მაგრამ თვით რედაქციასაც კარგად მოეხსენება, რაც: ბლაგიატობა, ლიტერატურული ქურდ-ბაცაცობა!.. ვინ არ იცის, თუ როგორის კადნიერებითა და მოურიდებლობით ჰპარავდა ეს ახალ მიმართულების გმირი ბროკჰაუზს სამეცნიერო აზრებს და თავისის სახელით ასაღებდა?! ამ პარვის ჩამდენი ახლა სხვებს „უპრინციპობას“ და „ფუქსავატობას“ უკიჟინებს. დაღოცვილი უიმისოდ ხელს არ გაანძრევს ხოლმე, თუ ბროკჰაუზის სლოვარი ანუ სხვის რომელისამე ნაწარმოები წინ არ უდევს და იქიდგან მზა-მზარეულ აზრებს და პრინციპებს არ სწაპნის და მაინც ლიტერატურულ ზნეობაზედ გაჰკივის და მკითხველს ყურებს უჭედავს—„ქართულ ლიტერატურაში მარტოოდენ სიბინძურე სუფევს და ყოველივე სიწმიდე წაპილწულიაო“. ნუ-თუ პლაგიატობაზედ უარესი ლიტერატურული წაპილწვა კიდევ შეიძლება?..

ბევრი სხვა მარგალიტიც მოიპოვება არჩილ ჯორჯაძის „ჩვენებურს კამათში“, მაგრამ ყველას აღნუსხვა შორს წაგვიყვანს. ხომ მოგეხსენებათ—ჩიტი ბდღვნად არ ღირდა და დევნა მეტი იყოო. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არჩილი მართალს ბრძანებს, „რუს-ქართველების დაკავშირება სომხების წინააღმდეგ არავითარ მოსაზრებით არ გამართლდებაო“. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ არაფერი სახარბიელო არ არის საქველ-მოქმედო დაწესებულების გამგეობაში ყოფნა და შრომისა და შეწუხების მეტს ასეთის გამგეობის წევრი ვერაფერს იპოვის. სწორედ ამიტომ გამოვაცხადეთ ჩვენ, რომ „სომხების გაშავების განზრახვა არავის არ ჰქონდა, არც რუსსა და არც ქართველსაო“. ამ მარტივის ჭეშმარიტების გაგებას დიდი დაფიქრება და დაკვირვება არ ესაჭიროებოდა. მაგრამ არჩილ ჯორჯაძემ ჩვენი ნათქვამი მაინც ვერ გაიგო და სომხების მიმართ მძულვარება „ივერიის“ ახალ რედაქციას თავზედ მოახვია. რად?—ამის პასუხი ვანქის უბნელ პუბლიცისტებს ეცოდინებათ...

მეურნეობის გაუმჯობესების საშუალებანი

(დასასრული)

მეორე გვარი კოოპერაცია, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს გაყიდვა ფრინველებისა, კვერცხებისა და ბუმბულისა, ჩემის აზრით, უუსაჭიროეს საზოგადოებად უნდა ჩაითვალოს ერთობ ჩვენის ქვეყნისათვის და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიისათვის. ამ მხარეს თუმცა აუარებელი ფრინველი და კვერცხი მოსდის და ჭირნახულის და ნაწარმოების გასაზიდავად აქვს რკინის გზა და შავი ზღვა, რომელიც აერთებენ მას კავკასიის და რუსეთის ქალაქებთან და ევროპასთან, მაინც სიღარიბისაგან თავი ვერ დაუხწევია, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თავისს ფასად ვერ გაუყიდნია, რაც წლის განმავლობაში მამულიდგან შემოსდის და მთელი ჭირნახული ხელში ჩაუგდია ჩარჩებისათვის, რომელთა ბოროტ-მოქმედებითაც საცაა საქვეყნო ბაზარს დავკარგავთ.

ამ უბედურების ასაცილებლად საჭიროა დავაარსოთ აქ ფრინველის და კვერცხის გამყიდველი საზოგადოება (**общество для сбыта продуктовъ Кутаисскаго Птицеводства**), რომელიც უნდა მოეწყოს ამ ნაირად: თითოეულ მაზრაში უნდა დაარსდეს მაზრის გამყიდველი საზოგადოება, რომლის წევრად უნდა გახდეს ყველა მეურნე, განურჩეველად წოდებისა, ეროვნებისა, რჯულისა ტ სქესისა. თითოეულმა წევრმა უნდა მოიტანოს დაწესებული საწევრო ფული და ამით შეადგინონ საერთო თანხა საყიდლად. ფრინველების დასაბინავებლად უნდა გაიჩინონ შესაფერის მოწყობილობით საფრინველო, რამდენისამე განყოფილებით: საავადმყოფო, ფრინველთა გასასუქებელი განყოფილება და სხვა. და გარდა ამისა კვერცხების საწყობი და კანტორა. სამაზრო სინდიკატების შეთანხმებით უნდა დაარსდეს სამტრედიაში, ან ბათუმში, ან ფოთში ცენტრალური კანტორა და საწყობი, სადაც უნდა გაიგზავნოს კვერცხები, ფრინველები და ბუმბული. ამ კანტორას ექმნება კავშირი უცხოეთის ფირმებთან, სინდიკატებთან, რუსეთის სავაჭრო პალატასთან პარიჟში და სხ. ასეთივე კანტორები შეიძლება გაიხსნას ტფილისსა, ბაქოსა და კავკასიის სხვა ქალაქებში, თუ საჭიროება მოითხოვს.

ამგვარი კოოპერაციები ძალიან გავრცელებულია ევროპის სახელმწიფოებში და ამერიკაში, ბელგია ხომ მთლად მოფენილია სინდიკატებით და იქ, მგონია, მემამულე ვერ მოიძებნება, რომ რომელისამე სინდიკატის წევრად არ იყოს. ბელგიაში დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა მრავალ-წევრიანი საზოგადოება (**Бельгиское Королевское Общество**) კვერცხების მყიდველ-გამყიდველებისა. იქ ჩარჩს თითქმის ადგილი არა აქვს ჭირნახულის აღებ-მიცემობაში და ვისაც ვაჭრობა უნდა, იძულებულია რომელისამე სინდიკატის წევრად გახდეს და წაგებ-მოგებაში ამხანაგებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს.

ჩვენის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და კერძოდ სამეურნეო ფრინველების წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა შეერთებული სურვილი, წვლილი და ღონე, და შეერთებულ ინტერესების შეთანხმება. შეერთებულ სურვილსა და კაპიტალს შეუძლიან რიგიან ბაზრის მოპოვება, რიგიანად ჭირნახულის ყიდვა - გაყიდვა, თანასწორად განაწილება წაგებ-მოგებისა, დიდის კაპიტალის შოვნა. ამისთანა საზოგადოების დაარსება გამოიწვევს სამეურნეო საგნების შესწავლის გავრცელებას ჩვენში, გამოაღვიძებს ეკონომიურს ცხოვრებას, მიიზიდავს და დაამკვიდრებს სოფელში აგრონომებს, რომელნიც დღეს ქალაქებისა და კანცელარიებისაკენ გარბიან, თუმცა მათი მოვალეობაა სოფელს სოფელშივე ემსახურონ.

ამ გვარ სინდიკატების დიდი მნიშვნელობა ღირსეულად დაფასებულია ყველა განათლებულ სახელმწიფოში და ყველა განათლებული მამულის-შვილი უნდა სცდილობდეს ამისთანა საზოგადოების დაარსებას თავისს სამშობლოში. მისი მოვალეობაა ჩაგონოს საზოგადოებას აუცილებელი საჭიროება ამ დაწესებულებისა. იმედია, ჩვენი პრესაც ყურადღებას მიაქცევს ამ საგანს და დრო-გამოშვებით მოგვაწოდებს ამა თუ იმ საშუალებას ჩვენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩარჩების დაუხმარებლად.

ნ. მკურნალი.

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ სამეურნეო საზოგადოებამ საფრანგეთიდგან გამოწერილი ბოგირდი უკვე მიიღო გუშინ-წინ, 21 მაისს.

◆ 21 მაისს ტფილისში გარდაიცვალა ქალაქის გამგეობის წევრად ყოფილი ე. ე. ხოსროევი. 1879 წლიდგან განსვენებული ქალაქის სამსახურში იმყოფებოდა.

◆ საქართველოს ექსარხოსი 21 მაისს ბაქოში წავიდა.

◆ გუშინ-წინ, 21 მაისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებამ დაამტკიცა ფ. გ. გოგიჩაიშვილისაგან შედგენილი პროგრამა სასოფლო მეურნეობის სტატისტიკურ ცნობების შეკრების შესახებ და აგრეთვე გადასწყვიტა, სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს შემწეობა აღმოუჩინოს მასალის შეკრებაში.

◆ როგორც შევიტყეთ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროს სტატისტიკოსი ფ. გ. გოგიჩაიშვილი ივნისის პირველ რიცხვებში პროვინციებში გაემგზავრება სასოფლო მეურნეობის შესახებ ცნობების შესაკრებად.

◆ 28 მაისს კრება ექმნება ახლად შემდგარ „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას“. უნდა აირჩიონ გამგეობის ერთი წევრი, კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრნი. გამგეობამ უკვე გადასწყვიტა, რომ სტუდენტს ავალიშვილს შემწეობა აღმოუჩინოს და ერთხანად 100 მანეთი მისცეს.

◆ მოგვივიდა აპრილის წიგნი მოამბესი. ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგი წერილები:

დადა-დედა მარიამი და ხატაურა.— მოთხრობა შ. არაგვისპირელისა, (დასასრული). დაძირული ზარი.—დრამა ხუთ მოქმედებად გერგარტჰაუპტმანისა, თარგმანი ინ-ანისა, (დასასრული). ტორგვემადა.—დრამა 5 მოქმედებად, ვიქტორ ჰუგოსი, თარგმანი კ. ყიფიანისა. წინაპრების თაყვანისცემა კავკასიელებში.—პროფესორ მ. მ. კოვალევსკისა, თარგმანი—ასი. უცხოეთის მიმოხილვა.—1. აგრარული კითხვა იტალიაში.—2. მფარველობითი სისტემა (პროტექციონიზმი) ინგლისში.—3. სოფრანგეთის სპარლამენტო არჩევნები.—4. კათოლიკური პარტია (ცენტრი) გერმანიაში და ბოლონელები; ბოლონელი წარმომადგენლები პრუსიის ზემო პალატაში. დამატება.—სპერნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.— ფრანგულიდგან ნათარგმნი ვ. დოროთეოვანიანისა.

◆ ქალაქის გამგეობამ თუმცა განაყიდი ხორცი ხარისხებად დაჭეო და ყველა ხარისხის ხორცს თავისი ფასი დაადო, მაგრამ ქალაქის მეათე უბნის მცხოვრებთათვის ისევ ძველი წესი არსებობს. ესენი, რომელიც ანდრეევის ქუჩის მახლობლად არიან, მესამე ხარისხის ხორცს პირველ ხარისხის ფასში ასაღებენ, რადგანაც მცხოვრებლებს სიშორისა გამო სხვაგან არ შეუძლიანთ წასვლა. თუ ესენი ბაზარში მიიყვან სავაჭრო ბოდეგის აგენტს და მოითხოვ ხორცს, მაშინ იგი სრულს უარს გეუბნება, ხორცი არა მაქვსო.

საქართველოს ამბები

კვირას, 26 მაისს, ქალაქ სიღნაღში სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრება მოხდება. კრებამ ორი საგანი უნდა განიხილოს: 1) უმაღლესად ნაბოძებ ფულის განაწილება და 2) საგუბერნიო მორიგ კრებების შემოდგომისთვის გადადება.

—

როგორც „ცნ. ფურც.“-ს შეუტყვია, ქუთაისის ინტელიგენციას აზრადა აქვს თურმე ადგილობრივ სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორად ბ-ნი ვ. ნ. აბულაძე აარჩიოს. ბ-ნი აბულაძე ამ ჟამად ერევნის ოლქის სასამართლოს წევრია.

—

იმავე გაზეთის სიტყვით, მემამულემ ხმოსანმა ი. ზ. გველესიანმა შესწირა ქალაქ ქუთაისს 5,000 მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებლით, 300 მანეთით, დაარსდეს ერთი სტიპენდია რუსეთის ერთს უმაღლესს სპეციალურ სასწავლებელში შემომწირველის სახელზე. სტიპენდიის მიღება შეეძლებათ ქალაქ ქუთაისისა და მისის მაზრის მცხოვრებთა შვილებს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ერთსა და იმავე პირს სტიპენდიით სარგებლობა შეეძლება არა უმეტეს ხუთის წლისა. სტიპენდია მიეცემა ისეთ პირს, რომელსაც ქალაქის საბჭო სცნობს ამის ღირსად.

კავკასია

პიატიგორსკი. პიატიგორსკში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 45-დე ქართველი მაინც იქნება. აქაური ქართველობა ძალიან ნაკლებად ეტანება ქართულ წერა-კითხვას, თუმცა რუსულზედაც მწყრალად არიან. მთელი აქაური ქართველობა რომ დაიაროთ და სანთლით ეძებოთ, 10 ქართულს წიგნს ვერ იპოვით. ქართული გაზეთები ხომ იშვიათიც-ღა იწერენ, მაგრამ წამკითხავი ვინ არის?

არ იქნებოდა ცუდი, რომ ერთი პატარა ქართული წიგნის მაღაზია ვისმეს დაეარსებინა აქ, იქნება მიჩვეულიყო აქაური გადაგვარებული ქართველობა ქართულის წიგნების კითხვასა და სამკურნალოდ მოსულს ქართველობასაც დაეკმაყოფილებინა თავისი ცნობისმოყვარეობა ქართულ წიგნების კითხვით.

მაისის 2-ს დაიწყო ჟუჟუნა წვიმა. ხალხი სიხარულმა მოიცვა, ნამეტნავად სოფლის მცხოვრებნი. გახარებულნი გაიძახოდნენ, „ეხლა-კი გვეშველაო“, მაგრამ, ხალხის საუბედუროდ, ამ სიხარულმა დიდ-ხანს არ გასტანა. უცბად ღრუბელი გაშავდა და ისე დაბნელდა არე-მარე, რომ საწყალ სოფლელთ მაშინვე შიშის ზარი დასცა. წამოვიდა აისეთი სხვილი სეტყვა, რომ მცხოვრებნი გაკვირვებულნი იყვნენ. სეტყვა თითქმის ქათმის კვერცხის ოდენა ცვიოდა.

მაისის 13-ს მოხდა რამდენიმე კაცის-კვლა, ქურდობა და ძარცვა-გლეჯა. ერთის აქვე მოვაჭრის სეფიროვის სამკერვალო ოთახში ქეიფობდნენ ზემოხსენებულის ვაჭრის მკერვლები. როდესაც კარგად შეზარხოშდნენ, დაიწყეს ერთმანეთში ლანძღვა, ლანძღვას მოაყოლეს ჩხუბი და ერთმანეთის ცემა. ამათგან ერთი მეტად შეძლებული იყო და დარია ხელი მეორეს, მოიგდო ქვეშ და დაუწყო ზვიდგან ცემა. როცა ნახა მეორემ, შვილა აღარსით არისო, იძრო ჯიბიდგან დანა და მუცელში ჩაჰკრა და ნაწლევები გარედ გამოაყრევინა. დაჭრილი წაიყვანეს მაშინვე ქალაქის საავადმყოფოში და მიჰმართეს ადგილობრივს მკურნალს, მაგრამ დაჭრილს ვერა ეშველა-რა და დაჭრილი იმ დღესვე გარდაიცვალა. დამჭრელი ამ ჟამად საპყრობილეშია. გამოძიება სწარმოებს...

პიატიგორსკის ახლოს, 13 ვერსის მანძილზედ მდებარე რკინის გზის სადგურს ბეშავოს ახლო ნახეს ვიღაცა უცნობი კაცი მკვდარი. მოუკლავთ გაძარცვის აზრით. ისე გაეძარცვათ, რომ პერანგიც გაეხადათ და ისე გადაეგოთ მინდორში.

სტ. კისლავოდსკში კიდევ ძმამ ძმა მოჰკლა ცემით.

ნ. პ. ღუდუშაური-მოხვევ.

უცხოეთი

ფუა ამერიკა. ლონდონში ბევრი მითქმა-მოთქმაა წმ. ვიკენტის კუნძულის მცხოვრებთა სრულიად გადასახლებაზედ.

ინგლისის მთავრობამ ლონდონის სამეფო საზოგადოებას მიანდო ამ საგნის გამორკვევა. საზოგადოება ჰგზავნის ანტილიის კუნძულებზედ კომისიას, რომელიც შესდგება გეოლოგთა და სეისმოლოგთაგან. მათ თან ექნებათ ყოველგვარი იარაღი, რომ ადგილობრივ შეისწავლონ მიზეზი და ხასიათი უკანასკნელ ამოფრქვევისა და შეადგინონ დაწვრილებითი მოხსენება იმ მოსალოდნელ უბედურებისა, რომელიც მათის აზრით და ამონაფრქვევის შემოწმებით, უნდა მოელოდეს ანტილიის კუნძულებს. ინგლისის მეცნიერნი, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის ანტილიის კუნძულებს დათვალიერებენ; შემდეგ-კი, საფრანგეთის მთავრობის ნება-რთვით, გაემგზავრებიან მარტინიკის კუნძულისაკენ, რომ სენ-პიერში მოახდინონ მეცნიერული გამოკვლევანი.

საფრანგეთის ახალშენთა მინისტრმა ნება დართო მარტინიკის გუბერნატორს გზა ფული დაურიგოს ყველა იმათ, ვინც მარტინიკიდგან საფრანგეთსა ან კუნძულებზედ აპირებს გადასახლებას. ამ განკარგულების ძალით 967 კაცი უკვე გადასახლებულა კუნძულიდგან.

ფრანგულ გაზეთებში დაბეჭდილია პირველი ოფიციალური მოხსენება მარტინიკის გუბერნატორისა პელეს ვულკანის ამოხეთქვის შესახებ. აი, ზოგიერთი ადგილები ამ მოხსენებისა: პელეს გორამ, რომელმაც უკანასკნელად 1851 წელს ამოხეთქა, ხელ-ახლა მოქმედება დაიწყო აპრილის ბოლო რიცხვებში. ვულკანიდგან დიდ-ძალი კომლი ამოდიოდა, მაგრამ მცხოვრებნი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. 2 და 3 მაისს ვულკანმა კომლთან ერთად ფერფლის სროლა დაიწყო. ეს ფერფლი ეცემოდა უმთავრესად სოფლებს ირემერსა და სენ-ფილომენს, რომელთა მცხოვრებნიც იძულებულნი შეიქმნენ სენ-პიერსა და სხვა ადგილებში წასულიყვნენ. ფერფლი ფორტ-დე-ფრანსსაც ეწვია. გუბერნატორი მუტე ირემსა და სენ-ფილომენში იყო, დაბრუნდა. შვიდა ხალხი და სენ-პიერში დაბრუნდა. ფერფლი განუწყვეტლივ მოდიოდა. ზოგჯერ ღამე გორის თავზედ ცეცხლი გამოჩნდებოდა ხოლმე. 5 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ვულკანიდგან ცხელი წყალი და ტალახი ამოვარდა, რომელმაც დაჰფარა თეთრი მდინარე და წალეკა ისნარისა და გერენ-

ბრხნები. ტალახის ტალღას სიგანე 100 საჟენი ჰქონდა, სიგრძე—ერთი ვერსი, სიმაღლე—4 საჟენი. ის მდინარენი, რომელთაც სათავე ბელეს მთაში აქვთ, ზოგი მოულოდნელად დაშრა, ზოგი მოდიდდა, ნაპირებს გადასცდა და არე-მარე წალეკა. ვულკანი გუგუნებდა და დრო-გამოშვებით ცეცხლით ნათდებოდა. მცოდნე კაცნი ამბობდნენ, რომ ვულკანი სენ-პიერისათვის საშიშო არ არის, ამიტომ ამოვარდნილმა ტალახმა თეთრ მდინარეში გაიკეთა გზაო.

7 მაისს ღამე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და კოკის-პირული წვიმა წამოვიდა. მდინარეები ნაპირებს გადასცდნენ. წყალი ისე ადიდდა, რომ გრან-რივიერისა, მაკუბისა და ბას-პუანტის მცხოვრებნი თავიანთ სახლებიდგან გაიკრიბნენ. ადიდდნენ სენ-პიერის მდინარე ნიკეფორი და რაკსელაკი. მცხოვრებნი საშინლად შეშფოთდნენ და შეშინდნენ. ბერში გოგირდის სუნი იდგა. ამას გარდა, ჰაერი იმდენად იყო გაჟღენთილი ელექტრონით, რომ ტელეფონით ლაპარაკი შეუძლებელი იყო. გორაზედ კომლმა მოუმატა. ქურდობა გახშირდა იმ სახლებში, რომელთაც მცხოვრებმა თავი მიანებეს. ორ საათზედ ქალაქის თავმა ფუშემ აცნობა გუბერნატორს, რომ საშიშო არა მომხდარა-რა, მხოლოდ პოლიცია საკმაო არ არის წესიერების დასაცველადაო. 8 მაისის დღემე მშვიდობიანად ჩაიარა.

უბედურება დილით მოხდა. 8 საათსა ⅔ 5 წუთზედ ფორტ-დეფრანსედგან თეთრი ღრუბლები დაინახეს ბელეს გორაზედ იმავე წუთს ტელეფონისა და კაბელის მუშაობა შეჩერდა, ბარომეტრი დაეშვა და ზღვამ ღელვა დაიწყო ზღვის ძირის ტოკვისაგან. ერთ წუთს მთელი ცა ღრუბლებით შეიმოსა. მალე ქვის წვიმაც წამოვიდა, რომელსაც თან ფერფლი მოსდევდა. 10 საათზედ სენ-პიერში წასულ „Girard“-ის მცხოვრებთ შემდეგი სურათი დაინახეს: ვულკანის ძირში ყველაფერს ხუთის ვერსის მანძილზედ ცეცხლი ეკიდა. ცეცხლი ეკიდა სახლებს, ხეებს, გემებს და სხვას. საოცარმა სიცხემ ნება არ მისცა გემს მიახლოვებოდა ნაპირს, ამიტომ იგი მალე უკან დაბრუნდა. ყველანი ამბობენ, რომ ვულკანის ამოხეთქის დროს ქალაქში მყოფთაგან ვერც ერთი კაცი ვერ გადარჩებოდაო. სენ-პიერსა და იმის მახლობლად მდებარე ადგილებში დაიღუპა სულ 30,000 კაცამდე. 8 მაისის შემდეგ ნაცარ-ტუტა არ შეწყვეტილა. იგი, როგორც მდინარე, თეთრ მდინარისა და სეშის კალაპოტებზედ მიდის. სენ-პიერი გაჰქრა. კუნძულს საუკეთესო ქალაქი მოაკლდა. ბელეს მთა ჯერ კიდევ მოქმედებს. „ანუწყვეტლივ ისმის გრგვინვა და ქუხილი“.

ბერმანია. პარლამენტის იმ სხდომაზედ, რომელზედაც საკოლონიზაციო კომისიის შესახებ იყო ლაპარაკი, კანცლერმა გრაფმა ბიულოვმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „გვაქვს თუ არა უფლება მივიღოთ ის ზომები, რომელთაც საჭიროდა ვცნობთ მონარქიის ერთობისა და უზრუნველ-ყოფისათვის? ჩემის აზრით, არამც თუ უფლება, ვალდებულნიც ვართ ასე მოვიქცეთ. ჩვენ უნდა მოვუღოთ ბოლო ბიდ-პოლონეთის საშიშ აგიტაციას და მათ ლტოლვას მომავალზედ; ჩვენ პატივსა ვცემთ პოლონელთა კანონიერ უფლებებს, მაგრამ ვეუბრალებლად უნდა განვაქარწყლოთ ყოველივე მათი მეცადინეობა, თუ ეს მიმართული იქნება არსებულ სახელმწიფო უფლებათა დამოკიდებულების შესაცვლელად; ამასთანავე ყოველის ღონით უნდა მოვუწყოთ ხელი გერმანელ ელემენტთა კულტურულ და მატერიალურ განვითარება-განათლებას. ერთ უპირველეს ზომათაგან მიმაჩნია გერმანელთა ახალშენები აღმოსავლეთ-პრუსიაში. იმ 250 მილიონით, რომელიც ამ მიზნისათვის გამოითხოვე, ჯერ-ჯერობით ვაბათილებ პირველ ნაბიჯს, რომლის თავდებობაც მე ვიისრე, რომ პოლონელთა მოძრაობის ბრივ დავიცავ განაპირა პროვინციებსა მეთეი. თავად ბისმარკისაგან დაარსებულმა საკოლონიზაციო კომისიამ ბევრი რამ შესძლო, ოგრამ გასაკეთებელი კიდევ დარჩა. 1901 ლამდე იმ კომისიამ შეიძინა 161 ათასი გექტარი მიწა, მათ შორის 100 ათასზედ უკვე დასახლეს 5 ათასი ოჯახი გერმანელთა. ჩემ-ის მხრივ ხელს ვუწყობ, რომ კომისიის მოქმედება განვთავისუფლო ბიუროკრატიულ ბოროტზეშლობისა და უგულობისაგან. ამ ჟამად ხელ-ახალ მიჯვნას მიჰყვეს ხელი ზოგიერთ პოლონელთაგან დასახლებულ პრუსიის პროვინციებში და კომისიამაც უნდა ისარგებლოს ამ შემთხვევით. გვაკლია ბოლოდ ხალხი, რომლის გადასახლებაც ეძლებოდეს ჩვენის მიზნის მისაღწევად. ბელმწიფემ უნდა ილონოს რამე ამ დარგის ასაცილებლად. პოლონელთა-ან ჩამორთმეული ადგილები მანამდე უნდა ეტოვოდ ხაზინის ხელში, სანამ ისეთი გერმანელები არ გამოგვიჩნდებიან, რომელთაც ეურნეობაში პოლონელ გლეხობის მეტოქობა შეეძლებათ. მხოლოდ პოზნანში არიან გერმანელთა სხვილი მემამულენი, რომელნიც დანარჩენ სხვილ მემამულეთ ცოტათი აღემატებიან, მაგრამ მათაც-კი შეჰპარვიათ აქა-იქ პოლონელნი და, მაშასადამე, მათი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა უფრო მცირეა, ვინემ ჩვენა გვგონია. კანონპროექტმა ფართო ასპარეზი გადუშალა წინ კომისიას, რომელსაც ეხლა შეუძლიან პოლონელთა მიწებით თავისუფლად ისარგებლოს სახელმწიფოს უმაღლეს მოსაზრებათა განსახორციელებლად“. სიტყვა ასე დაასრულა კანცლერმა: «ამ კანონპროექტით ჩვენა გვსურს აღმოსავლეთ-პრუსიაში გერმანელთა ზნე-ჩვეულებანი ავაღორძინოთ. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ მუყაითად თან-და-თანობით და დაუღალავად, რათა იმპერიის ამ კუთხეშიაც დამყარდეს ის უზრუნველ-ყოფა, კანონიერი წეს-წყობილება და ნამდვილი გერმანული სული, როგორიც არსებობს სხვა პროვინციებში გოგენცოლერნთა სკიპტრის ქვეშე“.

გივი ამილახვარი

გივი იყო მხედარი და მეომარი, სამშობლო ქვეყნის სიყვარულით გატაცებული. სხვა ქართველებთან ერთად ის ხან სპარსეთს ემხროდა და ოსმალეთის ჯარებს ჰყლეტდა, ხან ოსმალეთის მხარეს გადადიოდა და სპარსეთს აქოლქოსებდა ოსმალების შემწეობით. ამ გვარის ხრიკისა გამო სამუდამოდ ვერ იმორჩილებდა საქართველოს ვერც სპარსეთი, ვერც ოსმალეთი (იხ. ქ.-ცხოვ. პაპუნა, გვ. 397).

ასეთი ხვანჯიანი პოლიტიკა უანდერძეს მე-XVIII საუკუნეს საქართველოს ალკოვიადმა თარხან-მოურავმა და ზურაბ ერისთავმა, რომელთაც გასწირეს ერთმა საყვარელი ცოლი, მეორემ შვილი, სპარსეთში მძევლად მყოფნი, გაუდგნენ შაჰ-აბაზს და ამოჟლიტეს საქართველოში მისი ჯარები (იხ. ქ.-ც. მე-2 ნაწ., გვ. 41).

არა ნაკლებ მოურავისა და ზურაბ ერისთვისა სამშობლოსათვის თავგანწირულად იბრძოდა გივი ამილახორიცა და მისნი მომხრენი დარბაისელნი. იმათ კარგად ესმოდათ, რა ძალა ჰქონდა ქართველობის დაცვაში სარწმუნოებას, რადგან მისი შებღალვა გადაგვარების ნიშანია. ამისათვის, დომენტი კათალიკოზის სიკვდილის შემდეგ († 1743 წ.) ქართლში მყოფმა სპარსეთის ხანმა „თავისთან მიატანინა მცხეთის ტაძრის რაც საქონელი იყო, წირვის იარაღი და საუნჯე ეკლესიისა“, გივი, ქაიხოსრო ორბელიანი და დიდებულნი თავადნი მიუცვივდნენ ხანს, მუქარით გამოართვეს ტაძრის საუნჯე და უკლებლივ დაუბრუნეს ისევ ეკლესიას (იხ. ქ.-ცხოვ. პაპ. გვ. 350).

ასრეთი მოქმედება გივისა და მის თანამოაზრეთა მომდინარეობდა ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობიდგან. იმათ კარგად ესმოდათ, რომ მცხეთის ქონების მითვისებით სპარსეთს ეწადა გაეკრო ყოველივე მოწმობა ქართველთ წინაპართა ღვაწლისა და ისტორიისა, რომელიც ახვევია „სვეტი-ცხოველს“, მისს გუმბათს, მისს კედლებს, მისს სამარხს, მისს ეზოს და ჭიშკარებს. მაშასადამე, სპარსეთი შეეხო ქართველ ხალხის გულის „წმიდათა-წმიდათას, მის გულის პრინციპს სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისა და დიდების დაცვისას. ამ გვარს მიმართულებას გივისას ამტკიცებს მეორე ფაქტი. უეჭველია, მეორე ფაქტს ადგილი არ ექნებოდა, თუ რომ გივი არ ყოფილიყოს გამსჭვალული ნამდვილის მამულის-შვილურის გრძნობითა. ის მედგრად დაუდგა წინ ოსმალეთის განზრახვასაც. 1726 წელს ახალციხის ფაშა-მოიწადინა მეჩითად გადაქმნა სიონის ტაძრისა. შეიტყეს ქართველთ. გივი გასწყრა, მივიდა ფაშასთან. ის არ დაერიდა არც თავის წყენასა, არც დატყვევებასა და არც სიკვდილს და მუქარით უთხრა: „ამოვწყდებიო, გავიჟლიტებით და ნებას-კი არავის მივცემთ, რომ ჩვენი მამა-პაპის სარწმუნოების „წმიდა-წმიდათა“ მეჩითად აქციოს“. მუქარამ შეარყია სიმტკიცე ფაშისა. სიონის ტაძარი გადურჩა განსაცდელს (იხ. ქ.-ც. პაპ. გვ. 350).

დომენტი კათალიკოზი სწერს გივის: ვინცა ვინ იყავით ქართველნი დარბაისელნი, შეიკრიბენით, მოხვედით ფაშასთან, არზა მიეცით, თავი გასწირეთ, თითქმის დატეტეკება და ამოწყვეტა ირჩიეთ, ხოლო სიონის საყდრის მეჩითად გარდაქმნა-კი არ იკისრეთ. ამ წასარჩლებაში თქვენ დიდი ხარჯიც მოგვიდათ. „მადლობის გადასახდელად ან შემოგძღვნით უოხჯნო პირობას, რომ შენა და შენი შთამომავლობა საუკუნოდ იქმნება მოხსენებული ახალ-კვირის (კვირაცხოვლობის) შაბათს, რომელს დღესაც ააცდინეთ სიონის ტაძარი თათართაგან შებილწვასა“ (იხ. გუჯარი «ივერია“-ში დაბეჭდილი 1899 წ.).

გივი ამილახორი მარტო მაშინ-კი არ იჩენდა მამულიშვილობას, როცა საქართველოში იყო, არამედ მაშინაც, როცა უცხო ქვეყანას ტყვეობაში იმყოფებოდა. მისი გულის საუნჯე იყო სამშობლო ქვეყნის ბედნიერება. მისი კეთილ-დღეობა იყო მისი თვალის სინათლე. ამისათვის მისი გული იქენჯნებოდა სპარსეთში, ეგულვებოდა-რა სამშობლო ქვეყან აი-ვაგლახში ჩაფლული. შაჰნადირმა მისცა იმასა სპარსეთში დიდი მამულები, დიდი სიმდიდრე და სასახლის მინისტრობა (სახლთხუცესობა), მაგრამ იმას არ ახარებდა, როგორც გალიაში ჩასმულს ჩიტს, არც სიმდიდრე, არც ფუფუნებით ცხოვრება და არც აღმატებულობა. მისი დარდი იყო საქართველოს აღდგენა. იმას უყვარდა სამშობლო ქვეყანა, ქართველობა, დედა-ენა, ეკკლესიები, სარწმუნოება და მისთვის თავგადადებული იყო. სპარსელებმა სახელიც შეუცვალეს, „შაჰყული-ხანი“ დაარქვეს, მაგრამ ვერც გული შეუცვალეს, ვერც სარწმუნოება. იმას ისე ძლიერ უყვარდა სამშობლო ქვეყნის ხალხი, რომ არავის არ ივიწყებდა. იმან „გამოუგზავნა ფეშქაშები მეფე თეიმურაზს, კათალიკოზს ანტონ I-ს, ქართველთ დიდრონ კაცებს, ქართველთ ეკკლესიებს, ცალ-ცალკე ფრანგების საყდრებს, იმერეთს, ახალციხეს, იქაურს დიდრონ კაცებს. ვისაც ამ ქვეყნებში იცნობდა ყველასათვის მრავალი ოქრო ანუ ლარი ტურფა გამოგზავნა“ (იხ. პაპუნა, გვ. 417), და გაამხნევა ყველანი და შთააგონა ერთგულნი ყოფილიყვნენ სამშობლო ქვეყნისა, ჰქონოდათ ერთობა და იმედი არ დაეკარგათ ქვეყნის უკეთეს მომავლისა.

მაგრამ თავის მამულის-შვილობა მან უფრო მომეტებულად დაამტკიცა შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ. მძლავრის სიკვდილმა არიდარია სპარსეთის შინაური საქმეები. „შეიქნა დიდი არეულობა“. შეიყარნენ იქ მყოფნი ქართველნი, შემოეხვივნენ ბატონიშვილს ასან მირზას, დაუპირეს წამოსვლა საქართველოს, მაგრამ გაუჭირდათ დიდათ, რადგან ღარიბად იყვნენ: თუ არა დაეხარჯათ-რა, ვერც მარტო თავის ხმლის ძალით შეიძლებდნენ წამოსვლას? „ძმა ძმისთვის, შივი დღისთვისო“, ამბობს ქართული ანდაზა. ამ უნუგეშო და გაჭირვებულს დროს მოეშველა მათ გივი, მისცა ყველას, ვისაც როგორც ეკადრებოდა, საზრდელი და რაც ნაკლულევანება ჰქონდათ, გამოუძღვა წინ და გამოემგზავრნენ საქართველოსკენ. გზაზე მრავალჯერ დაჰხვდნენ წინ ყიზილბაშნი, მაგრამ ისე ლომ-გულად და კაი სარდლობით მოიქცა შაჰყული-ხან, რომ საცა მტერი აუჩნდათ, რისხვა მღვთისა დასცეს. შემოვიდნენ ისინი ქალაქს ტფილისს. თეიმურაზს იამა ძმისწულის ასან მირზას ნახვა და ამდენი ქართველი კაცის გამოხსნა. მაგრამ უფრო სასიამოვნო იყო მათ შორის სანახავად გივი. იგი მოვიდა დიდის დიდებითა და გამოჩენით, ვითარცა შეეფერებოდა მისსა სიმდიდრესა და სიმაღლესა. ეგრე გაეწყო მას მონანი თვისნი და აღემკო მოხდენილად და აღეტურვა ყველანი ოქროს იარაღითა, რომ სასიამოვნონი იყვნენ მნახავთათვის. ესე იყო სიკეთე მისი, რაგინდ ძნელს საქმეში ჩავარდნილიყო, ისე რიგად მოაწყობდა საქმეს, რომ დიდება და პატივი არ მოაკლდებოდა და უფრო უმაღლესს ხარისხს აღვიდოდა სიბრძნითა და სიმხნითა თვისითა. მას სპარსელთ სჯული ვერ დაადგებინეს და აგრეთვე ქრისტიანობით მოვიდა ქართლში. შაჰს დიდი პატივი მისცეს მეფე თეიმურაზმა და მეფე ერეკლემ და ის აღარ წავიდა თავის საერისთაოში“ (იხ. პაპ. გვ. 420).

რისთვის აძლევენ ასეთს პატივს საქართველოს მეფენი და დიდებულნი, თუ გივი არ იყო ამის ღირსი? რად აქებს მას პაპუნა, ეს დიდებული მამულიშვილი, თუ გივი მტერი იყო საქართველოსი? ამოკრეფილი ისტორიული ცნობები საკმაოდ ასურათებენ გივის ხასიათს, მიმართულებას, გრძნობებს და სარწმუნოებას. იგი რაოდენადაც უშიშარი მეომარი და პოლიტიკოსი იყო, იმოდენადვე იყო სამშობლო ქვეყნის კეთილის-მყოფელი და კაი კაცი საზოგადო ცხოვრებაში. მართალია, მან ბევრი სისხლი დაღვარა ძმათა-მკვლელობის ბრძოლაში, მაგრამ ასრეთი მისი საქციელი პოლიტიკურ გარემოებათა ბრალია, დარა უსიყვარულობისა სამშობლოსადმი. ისტორია მიდგომით არ უნდა სჯიდეს. მის სამს ჯავროს წინაშე ყველანი თანაბარნი უნდა იყვნენ. იგი აფასებს არამც თუ მარტო კაცის საქციელს და საქმეებს, არამედ უსინჯავს კაცს გულსაც. გივის ჰქონდა გული კაცური, საიდამაც მომდინარეობდა სამშობლოსათვის კეთილის-ყოფა.

თუმცა მისი ხსენება სიონის ტაძარში გადავარდა მე XIX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ამავე საუკუნის დამლევს, გორის ეპისკოპოსად ყოფილმა კირიონმა ისევ აღადგინა იგი.

ინგილო ჯანაშვილი.

საგაასო

ღია წერილი „ცნობის ფურცლის“ რედაქტორს

ბ-ნო რედაქტორო! თითქმის ხუთი წელიწადია, რაც ბ-ნი ს. ჭეიშვილი სძიძგნის გურიის საბრ. ამხ. „შუამავალს“. თუ რომ სირბილე გაჩნდა ამხ. კბილებ შეუვლებელი არ დაუტოვებია და, თხისა და ბებიისა არ იოხს, მხოლოდ ორიოდე ფარდული და რამდენიმე ტომარა დაუნარჩუნა ამხანაგობას. ჩვენი ამხანაგობა კვლა მსხვერპლი ბ-ნ ჭეიშვილისა და რამდენისმე მის პირად მეგობრის კვლევიებულ მადის დაკმაყოფილებისა.

მოუომენლად მოველოდით არჩევნის დღეს, რადგან არავისთვის დასამალი ადარ იყო, რომ ჭეიშვილმა თავისის უსაზღვრო თვითნებობით თითქმის სრულიად გაანადგურა მოელის გურიისათვის შეტად სასარგებლო ამხანაგობა. მან ისარგებლა ზოგიერთის წევრების დაუდევნელობა-უყურადღებობით და, როგორც ჭსურდა, ისე განაგებდა ამხანაგობას.

16 დეკემბერს დაინიშნა საზოგადო კრება, რომელსაც სარევიზიო კომისიამ წარუდგინა თავისი მოხსენება, სადგანაც ცხადად სჩანს ამხანაგობის საქმეების უსულ-გულოთ წარმოება, სხვა-და-სხვა ხარჯები, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჭქონია ამხანაგობის საქმეებთან. ამას დავუმატოთ წარმომადგენელთა კრების აბუჩად აგდება, რომელიც წინასწმდეგი იყო ჭეიშვილის მარსელში სეირნობისა, დავუმატოთ ის უზრდელობა, რომელიც მან ჩაიდინა წარმომადგენელთა კრებაზე, როცა საკუთარ კითხვის განმარტება მოსთხოვეს, ნაცვლად პასუხისა ორჯელ დაუსტვინა მთელ კრებას და როცა შეატყო, რომ საქმე არა მისს სასარგებლოდ თავდებოდა, მაბეზღრადაც კადიქცა და სთქვა, რომ კრების ნება-რთვა არ არის მაზრის უფროსისაგან ადებული და თუ არ დაიშალენით, ეხლავე ვაცნობებთ. ამას ბევრი ისეთი რამ უნდა დავუმატოთ, რომელსაც გაზეთის ფურცლებზე ადგილი არა აქვს...

ეველა ამის შემდეგ განა შეიძლებოდა ჭეიშვილის დატოვება ისევ მმართველად?—არა და არა. და აი კრებაც ასე მოიქცა. ერთ-ხმად გაიშვა და გადაეყენა; და აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო მოკლე დროში მოეხსნა ვინმე სანდო-სიმედო პირი, ან და თავითან შორის აერჩია რომელიმე. კომისიის რამდენმეს წევრმა კრების მოწვევა ისევ ჭეიშვილს მიანდო და მით ერთხელ საზოგადო კრების მიერ გადაყენებული ისევ ამხანაგობის კოფოზე წამოასვეშა.

დანიშნა მეორე კრება 20 იანვარს. ამ კრების დიდ უმეტესობას შეადგენდა ჭეიშვილის სახლის კაცები და მისი პირადი მეგობრები, რომელნიც, გარდა ჭეიშვილის გათეორებისა, ეველი კითხვის გადაწყვეტა ფიქრადაც არ მოსდიოდა, და მხოლოდ და მხოლოდ ჭეიშვილის გათეორება იყო მათი ტრფიალი. ჩვენ, შეტი რადა დაგვრჩენოდა,—მაშინვე წერილობით პროტესტი გავუცხადეთ კრების უკანონობისაზე, რის სანუთიც წესდების ძალით ხელთ გვქონდა და ვსთხოვეთ ჭეიშვილს რაც შეიძლება ადე (22 ოებერვალს) დაენიშნა კრება, რომ პირის ეიდვისთვის დროზე თადარიგი დაგვეჭირა. ბ-ნმა ჭეიშვილმა ჩვენს თხოვნას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. პირიქით მუქარას და დახმდვა-გინებას გვითვლიდა.

ჩვენდა სამბედნიეროდ, კამეგობის ეველა წევრებმა სამსახურს თავი დაახებეს და ჭეიშვილი იძულებული გახდა კრება დაენიშნა. დანიშნა კრება, მაგრამ სწორედ იმ დროს, რომ ბანკებში 7,000 მ. ვადის შეტანის უკანასკნელი დღე იყო 25 აპრილი, ხოლო კრება დანიშნა 23 აპრილისათვის, უთუოდ იმ მოსაზრებით, რომ ეს ვადი ეველას დაამინებს და ჩემს კარდა მმართველობას არავინ იკისრებსო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მოსაწვევი ბარათები ნახევრისათვის არ გაუგზავნია და ვისაც გაუგზავნა, თან ვექიდობაც არ კაჭეოდა, და ისიც 22 აპრილს დაარიგა.

მიუხედავად ამისა, კრება შესდგა და ჭეიშვილიც ხელ-შეორედ ერთ-ხმად გაამგებულ იქმნა. აირჩიეთ სარევიზიო კომისია, მმართველი, რომელსაც კრებამ დაავალა რაც შეიძლება დაჩქარებით ჩაებარებია ჭეიშვილისგან ამხანაგობის ქონება. ახალი გამგე სარევიზიო კომისიასთან ერთად გამოცხადდა ოზურგეთში საქმეების ჩასაბარებლად, მაგრამ,—დახეთ, ჩვენს განცვიფრებას,—ჭეიშვილმა კატეგორიულად უარი განაცხადა საქმეების ჩაბარებაზე. მთელი ერთი კვირა ვიმეცადინეთ, მაგრამ ვერას გავხდით.

მეტი რადა დაგვრჩენოდა, ნოტარიუსთან ახალი «დოგოვორი» შეგადგინეთ, თანახმად წესდებისა და კრების გადაწყვეტილებისა და დავავალეთ ახალ მმართველს მიეძართა სამსჯავროსათვის. ამასთან ეველა ბანკებში, სავაჭრო ფირმებში ცირკულიარი გავგზავნეთ, რითაც ვაცნობებდით, რომ ამხანაგობის გამგეთ ჭეიშვილი ადარ ითვლებოდა და მასთან ამხანაგობის სახელით არავითარი საქმე არ დაეჭირათ. ჩვენ-კი საშუალების გამოსაძებნათ ახალი კრება მოვიწვიეთ, გადავეცით ჭეიშვილის მიერ ამხანაგობის მითვისება, რამაც მეტად აადგა საზოგადოება, სთხოვა ახალ მმართველობას, ეველანი ერთ-ხმად ეაჩვენეთ ბარონ ამხანაგობის საქმეები, ადრინდელ წინააღმდეგ სისხლის სამართლით სასჯელი სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის, რის სიბუოიც ბევრად აქვს სარევიზიო კომისიას და ჭეიშვილი-ეი, როგორც მავნე წევრი, გამოარიცხა ამხანაგობის წევრთა სიიდგან. დაუბრუნდა მისი ხაის ფასი (20 მ.) სარგებლით.

ეოველივე ეს, რაც ზემოთ ვსთქვი, კარგათ იცოდა ოქვენმა რედაქციამ, რადგან ამ საგნის შესახებ საკმაო წერილები დაიბეჭდა, საიდგანაც ეველა მიხვდებოდა საქმის ვითარებას. ეველა ქართველი გაზეთები, გარდა «ცნობის-ფურცლისა», დაინტერესებული იყო ამ საქმის ვითარებით, და სიმართლის გამოსარკვევად სიამოვნებით გვითმობდა „ივერია“ თავის ფურცლებს. აგრეთვე «კავკაზმაც», გარდა წერილების დასტამბვისა, თავისი აზრიც ბევრჯელ წარმოსთქვა ამ საქმის შესახებ. ოქვენ კი, არამც თუ ოქვენი აზრი, კრების ანგარიშიც არ დაგვიბეჭდეთ და შემდეგ ისევ „ივერიამ“ დაგვდო ბატივი. ერთმა წევრმა, რომელიც, ჩვენ გვგონია, ისევ ოქვენი რედაქციის წევრი იყო, სასტიკად გაჭეიტხა ოპოზიცია ოქვენის გაზეთის ფურცელზე და ჩვენ-კი უბრალო ბესუხიც არ დაგვისტამბეთ.

ეველა ამას რომ თავი დავანებოთ, ეს-კი მეტად გასაკვირალია, რომ „ცნობის ფურცლის“ 1812 №-ში ვსტამბავთ ჭეიშვილის კრებაზედ მოსაწვევ განცხადებას, როგორც მმართველისას მაშინ როდესაც, რაც ზემოთ ვსთქვი, ეველა კარგათ იცოდით და კარდა ამისა სარევიზიო კომისიამ დასტამბული ცირკულიარი გამოგიგზავნა ოქვენს რედაქციას, როგორც სხვა რედაქციებს, რითაც გაცნობებდათ, რომ ჭეიშვილი მმართველად ადარ იყო. «ივერიამაც“ და „კავკაზმაც“ ეს გამოაცხადა და ოქვენ-კი გამოცხადების მაგიერ „самозванецъ“-ის კრების მოსაწვევი განცხადება დასტამბეთ.

ჩვენ მეტის-მეტად გვაკვირვებს ეს. ვერ წარმოგვიდგენია, რად დაგჭირდათ მეთხეველის შეცდომაში შეყვანა და რად მიეცით სამჯერ გადაყენებულ კაცს მმართველის დიპლომი გაზეთის ფურცლებზე. ოქვენ კარგად იცოდით, რომ დღეს ჭეიშვილი არამც თუ მმართველი, წევრიც ადარ არის ამხანაგობისა.

იმედი გვაქვს აგვიხსნათ, რით ხელმძღვანელობდით, როცა განცხრახ „самозванецъ“-ის უკანა მოწოდება დასტამბეთ. ჩვენ გვგონია რედაქციაში ხათრი-ხათალი-ჯამ-პროტექციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. წინასწმდეგ შემთხვევაში გვეცოდინება, თუ სითოკენ არის „ცნ. ფურ.“ სიმპატია მიმართული.

სარევიზიო კომისიის წევრი
მასწ. გრ. ურატაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ოქვენის გაზეთის 106 ნომერში წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრების ანგარიშში, სხვათა შორის, სწერია: «პ. სურგულაძე კითხულობს, რად გვინდა იმისთანა მუზეუმი, თუ ხარჯი ბევრი ეღირება, შემოსავალი-კი ცოტაოა. არ ვიცი, საიდან გამოიგონა ოქვენმა თანამშრომელმა ეს სიტყვები? მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს მუზეუმის შესახებ; რამდენადაც მახსოვს არც არავის არ დაუყენებია ასე კითხვა, ვერც წარმომიდგენია, რომ კაცმა მუზეუმს შემოსავალის თვალით უცქიროს.

პ. სურგულაძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 მაისი

პეტერბურგი. გადასახლებელთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე კრივოშეინი დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ლონდონი. მინისტრთა საბჭოსაკენ მიმავალ მინისტრებს დიდის ამბით მიეგება ხალხი, განსაკუთრებით ბალფურსა და ჩემბერლენს.

ლონდონი. სამშვიდობო პირობათა დადება დიდის ამბით იდღესასწაულეს ყველგან. დღეს ბევრი ფაბრიკა და სკოლა დაკეტილია. ქუჩებზედ პროცესიებს მართავდნენ. რამდენსამე ქალაქში მსაჯულებმა თავის მოვალეობის აღსრულების დროს მათთან მიყვანილი პატიმრები გაანთავისუფლეს.

ოდესა. დღეს ბირჟის სახლში დაიწყო კონფერენცია გზათა და ფინანსთა სამინისტროების და რუსეთის და უცხოეთის რკინის გზების წარმომადგენლებისა შესახებ რუსეთ-გერმანიის-ნიდერლანდიის რკინის გზებით მიმოსვლისა. დაესწრო 27 წევრი. კრება გაგრძელდება 27 მაისამდე. ქალაქის თავმა და ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარემ მიულოცეს კრების დაწყება. გასინჯავენ ქალაქის ტექნიკურ შენობებს და რკინის გზებს. ქალაქი კონფერენციის წევრთ ნადიმს გაუმართავს.

ვენა. გალიციაში, ბორისლავსკის აქციონურ საზოგადოების მადნებში მოხდა აფეთქება. მადნის 16 მუშა მოკვდა. 4 მძიმედ არის დაჭრილი.

ბერლინი. გუშინ დამთავრდა უმთავრესი ნაწილი შანტუნგის რკინის გზისა და დაიწყო მიმოსვლა.

ᲣᲢᲠᲔᲮᲢ. ლეიდსი ახლა პარიჟშია, ხოლო ფიშერი, ვესსელსი და ვოლმარანსი-კი უტრეხტში.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. პრუსიის პალატამ 133 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 79-სა მიიღო კონსერვატორთა წინადადება და საბაჟო ტარიფი უფრო მეტზედ ასწია, ვიდრე სატარიფო კომისიამ წარუდგინა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პალატა. შიდა აივნები გაჟედილია ხალხით. ბროდრიკს და ჩემბერლენს მიეგებნენ აღტაცებით. ბალფურმა წაიკითხა პირი მორიგებისა. ბურნი თანახმანი არიან იარაღი დაჰყარონ. პირველ მუხლით ბრძოლის ველზე მყოფი მოქალაქენი დაუყოვნებლივ დაჰყრიან იარაღს და უარს განაცხადებენ ბრძოლაზე წინააღმდეგ მეფე ედუარდ მე-VII-ისა, რომელსაც კანონიერ მეფედ აღიარებენ; მეორე მუხლით მეომარ ბურებს, რომელნიც ტრანსვაალსა და ორანჟეს გარედ არიან და ყველა ტყვეებს სამხრეთ-აფრიკის გარეთ მყოფთ, აღიარებენ თუ არა თავიანთ თავს მეფის ქვეშევრდომად, დააბრუნებენ სამშობლოში, როგორც-კი მოაწყობენ იმათ გადაყვანის საქმეს; მესამე მუხლი: დაბრუნებულნი სრულიად თავისუფალნი იქმნებიან როგორც თვითონ, აგრეთვე მათი ქონება (ამ მუხლმა გამოიწვია ოპოზიციის მოწონება). მეოთხე: ამ რიგად დაბრუნებულნი არ მიეცემიან არც სისხლისა და არც სამოქალაქო სამართალში ომით გამოწვეულ მოქმედებისათვის *).

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. თუ მშობლები მოისურვებენ, ჰოლანდიის ენას ასწავლიან საზოგადო სკოლებში ტრანსვაალსა და ორანჟეს კოლონიაში: იმავე ენაზე აწარმოებენ სამართალს სამოსამართლოებში, თუ ამას მოითხოვს საქმის წარმოების გაუკეთესობა. ტრანსვაალში და ორანჟეს კოლონიაში იარაღის ტარების ნება მიეცემათ მხოლოდ იმ პირთ, რომლებისათვისაც ეს საჭირო იქმნება დასაცავად თავიანთ თავისა და თუ მიიღებენ ამის შესახებ შესაფერს ნება-რთვას. სამხედრო მართვა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს სამოქალაქო მართვაზედ და, როდესაც-კი მოხერხებულად იცნობენ, შემოღებული უნდა იყოს წარმომადგენელთა დაწესებულებანი.

რაიცა შეეხება იმას, მიეცეს თუ არა მკვიდრთ ამომრჩეველთა უფლებანი, ეს გარდაწყვეტილი იქმნება შემდეგ თვით-მმართველობის შემოღებისა. განსაკუთრებული ხარჯი არ იქმნება შემოღებული. ყოველ ოლქში დაინიშნება კომისია, რომელთა კრებებზე მიიღებენ მონაწილეობას ოლქის მცხოვრებნი; სამშობლო ადგილებში დაბრუნების გასაადვილებლად, ინგლისის მთავრობა მისცემს კომისიას 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს. მთავრობა უარს არ იტყვის დახმარება ამოეჩინოს სესხითაც ორის წლის ვადით ზემოდ აღნიშნულ საგნისათვისვე იმ ფულიდამ, რომელიც თავისუფალი იქმნება. ამ მუხლებით სარგებლობის ნება არ მიეცემათ არც უცხოელთ და არც მეამბოხეთ (დიდი მოწონების ხმაა სამინისტროს დასისა).

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ბალფურმა გამოაცხადა, რომ კიდევ საყურადღებო მუხლებია, რომლებიც არ არის შეტანილი კვირის ხელმოწერილ საბუთში.

რაკი ბურების წარმომადგენელთ ჩააბარეს პირი ხელშეკრულობისა, მილნერმა წაუკითხა განცხადება, რომლის ძალით კაპის და ნატალის მეამბოხეთ გასამართლებენ კოლონიების ადგილობრივ კანონებით; კაპის მეამბოხენი, თუ უბრალო ჯარის კაცები არიან, უნდა დაისაჯნენ არჩევნების უფლებათა ჩამორთმევით.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ბალფური განაგრძობს, ხელშეკრულობაზე ხელი უწერიით ინგლისის მთავრობის სახელით კიტჩენერს და მილნერს, ორანჟეს მთავრობის სახელით—შტეინს, დეეტს, ოლივიეს და ჰერცოგს; ტრანსვაალის სახელით შალკ-ბურგერს, რეიცს, ლუი ბოტას და დელარეის. ბალფურის შემდეგ ლაპარაკობს კემბელ-ბანნერმანი; აცხადებს, რომ, სანამ ბალფური არ წარმოადგენს დოკუმენტებს, არას ვიტყვიო და ამას უმატებს, რომ მალე ვიშუამდგომლებ პალატის წინაშე გამოეცხადოს მადლობა კიტჩენერს და ლაშქარსაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ქვეყნის ყოველ კუთხიდგან მიიღო მეფემ მისალოცი დეპეშები სამშვიდობო ზავის ჩამოგდების გამო. იმპერატორმა ვილჰელმმა და იმპერატორმა ფრანც-იოსებმაც გულითად მოლოცვის დეპეშები გამოუგზავნეს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გუშინ საავადმყოფოს პირდაპირ მდგომ ხალხიდან ვიღაცამ რევოლვერი ესროლა პოლიციის პრეფექტს ლეპინს. ლეპინი არ დაჭრილა. რევოლვერის მსროლელი-კი სადღაც მიიმალა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ირლანდიაში მეფის მოადგილე ლორდს იმპერატორმა ვილჰელმმა მადლობა გადაუხადა იმ მიღებისათვის, როაელიც აღმოუჩინეს პრინც ჰენრიხსა და იმის ესკადრას; ამასთანავე სურვილი გამოსთქვა, რომ ეს სტუმრობა კიდევ ერთ შემაერთებელ კავშირად იქმნეს ამ ორის ქვეყნის შორისო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სამხედრო სასწავლებელთა უფროსი გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ჩარიცხულ იქმნა პავლოვსკის სასწავლებელთა სიაში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. სპარსეთსა და შუა აზიას შორის სავაჭრო ურთიერთობის გასაადვილებლად „კავკაზა-მერკურის„ საზოგადოებამ ცალკე საგენტო დააარსა ბათუმში.

21 მაისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დღეს წითელ ჯვრის კონფერენციამ დაამტკიცა წესნი, რომლითაც უნდა ჰხელმძღვანელობდნენ წითელის ჯვრის კონფერენციები. კონფერენციამ დაამტკიცა აგრეთვე დებულება 100,000 მან. ფონდისათვის, რომელიც დაარსებულია ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზედ. ფონდი უნდა იყოს უმთავრეს კომიტეტის გამგებლობაში, ხოლო სარგებელი მისი უნდა ეძლიოს ჯილდოდ იმათ, ვინც საუკეთესო ღონისძიებას მოიგონებს, რომ ტანჯვა შეუმსუბუქოს ავადმყოფთა და დაჭრილ მეომართ.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. ორი რედაქტორი და რამდენიმე თანამშრომელი პოლონურ ჟურნალ-გაზეთებისა გაემართნენ ლიუცერანს, რათა დაესწრნენ ბლიოხის მიერ დაარსებულ „მშვიდობისა და ომიანობის მუზეის“ გახსნას.

ᲝᲠᲘᲝᲚᲘ. ორიოლისა და ელეცკის საქალაქო გამგეობათ ჩაიბარეს თანხა, სახლები და მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა ხელოსანთა გაუქმებულ საზოგადოებათა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. დაიწვა საკანდიტერო ქარხანა ეინემისა. ზარალი 800,000 მანათია.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. ეკატერინინის გზაზედ 37 ვაგონიანი საქონლის მატარებელი ასცდა რელსებს. დაიმტვრა 13 დატვირთული ვაგონი, მოკვდა ობერ-კონდუქტორი, ერთი გამპოხველთაგანი თვლებისა მძიმედ არის დაჭრილი.

ᲑᲐᲥᲝ. როგორც „კასპი“ იუწყება, სოფ. კობს ახლოს, ბაქოს მაზრაში, ამოსკდა ცხელი ტალახი გუზგრანის ვულკანიდგან. გარშემო ცეცხლი მოედო. ამ მოვლენამ გასტანა ხუთს წუთს. ვულკანის მსხვერპლი შეიქმნა რამდენიმე ფარა ცხვრისა; ოთხი მწყემსი ძლივს გადარჩა გადაწვას.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. ოსმალეთმა გადაიხადა 3,000 გირვანქა სტერლინგი იმ რუსთა ქვეშევრდომთათვის, რომელნიც დაზარალდნენ რუს-ოსმალთა ომის დროს.

ᲞᲠᲔᲢᲝᲠᲘᲐ. უმეტესობა ბურთა წინამძღოლებისა გაემართა აქედან, რომ დაითხოვონ თავ-თავიანთ სახლებში მეომარნი ბურნი. ამ საქმის დამთავრებას ორ კვირას მოუნდებიან.

ᲢᲘᲐᲜ-ᲫᲘᲜᲘ. აჯანყება პეჩილიის ოლქში ხელ-ახლად ვრცელდება. კათოლიკეთა მისიონერების ცნობით, მთავრობის წარმომადგენელნი, რომელნიც გაგზავნილ იქმნენ სოფლებში, რომ მოეთხოვათ ხალხისათვის იარაღი აიყარეთო, ამოჰხოცეს მცხოვრებლებმა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. პოლიციის პრეზიდენტი ლეპინი აცხადებს, რომ ჭორია ის ამბავი, ვითომ სამკურნალოს ახლოს მე დამბაჩა მესროლესო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მინისტრთა საბჭოს კრებაზედ ელისეს სასახლეში სამინისტრომ მიართვა პრეზიდენტს ქაღალდი, სამსახურიდგან დაგვითხოვეო; თან მადლობა მოახსენეს, რომ მუდამ თანაგვიგრძნობდით და გვენდობოდითო. ლუბემ მწუხარება გამოაცხადა, მადლობა გადუხადა, მხარს მიჭერდით ხოლმე გაჭირვებაშიო და თან დასძინა: მოხარული ვარ, რომ მოგვეცით მაგალითი თანხმობისა ერთმანერთთან შორის საკმაოდ დიდის ხნის განმავლობაშიო.

22 მაისი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მეფემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მილნერს: „დიდად მოხარული ვარ ბურების მეომართა დამორჩილების ამბის მიღებისათვის. გმადლობთ იმ მოხერხებისათვის, რომლითაც მოლაპარაკებას გაუძღვითო“.—კიტჩენერს მეფემ გაუგზავნა: „გილოცავთ სამტრო მოქმედების გათავების გამო. ვულოცავ მამაც ჯარს: იმათ ასე საკეთილოდ დაათავეს ხანგრძლივი და ძნელი ომი“. მილნერმა და კიტჩენერმა მადლობა გამოუცხადეს მეფეს.

ᲙᲘᲔᲤᲘᲗᲝᲠᲜᲘᲚᲘ. გუშინ დაიწყო სამკურნალო სეზონი ჟელეზნოვოდსკის წყლებზედ. აკურთხეს ახალი შენობა გალლერეისა თეატრი-თურთ, რომელიც მარიენბადის მაგვარად არის აგებული.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 17 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$98^3/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	294 წვ. გაყ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10600 გაყ.
აქციები ,,	$5281^1/_2$
,, კასპიის ამხანაგობისა.	4650„
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	443 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	180 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ᲥᲣᲧᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ᲑᲐᲥᲝ.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ᲥᲐᲠᲡᲘ და **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜ.**		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ.დილ.	6 ს. 22 წ.დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲛᲐ ᲙᲐᲡᲐᲛ

უკვე დაიწყო მოქმედება და ვისაც ჰსურს წევრად ჩაეწეროს, მიჰმართოს გამგეობის წევრს-ხაზინადარს შიო ქუჩუკაშვილს სათავად-აზნაურო ქარვასლაში „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ერთ-ხნობითი შემოსატანი არის **ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲗᲘ** და **ᲮᲣᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ**, გარდაცვალებულის ოჯახს-კი მიეცემა შემწეობა **ᲮᲣᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲐᲛᲓᲘᲡ.**

დამფუძნებელ წევრთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, მაისის თვის გასულამდის უნდა შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან წევრობიდამ. (10—9)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ

ამხ. „ტოდნის“ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:

№ 1 „ქრისტინე“ მოთხრობა ე. ნინოშვილისა . . „ 20 კ.

« 2 „ბუნების საოცარი მოვლენანი რუბაკინისა . . „ 15 კ.

და ახლად გამოცემული წიგნი

« 3 **ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ** მე-XI საუკუნიდან მე-XIX საუკუნის დამლევამდე ა. ბიკოვისა, თარგმანი კ. ს. ჩხეიძისა, ფასი 1 მ. უმთავრესი საწყობია ქ. ბათუმში სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, რომლის ადრესიც არის შემდეგი: Въ Гор. Батумъ, Спир. Челидзе. ვინც თითო წიგნისას ათ-ათ ცალს დაიბარებს ერთად, დაეთმობა 25%.

(6—349—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐᲜᲘ

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ᲬᲔᲠᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ-ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲙᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ:

სუმაწვიდო ამბები ეკ. გაბაშვილმა .	„ 30
საქართ. ისტორია ბროსსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სადიტერატურო ქართული. სიდოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . .	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ეოვედის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი .	„ 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ეიფშიძისა	„ 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . .	„ 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	„ 30
ბბო ტფილელი, ე. ბ. . . .	„ 30
Або Тифлисскій, Е. К. . .	„ 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	„ 60
გიორგი და მიხეილი . . .	„ 10
რ. ამაშიძისა	„ 60
დ. გაბრუაშვილისა . . .	„ 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა .	„ 40
მუშათა კითხვა	15 „
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ბ. ეონხოშვილისა . . .	1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. .	„ 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ.	„ 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	„ 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	„ 30
ჩანგი, ვ. ამაშიძისა . . .	1 „
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили.	„ 50
ცისარტველა, ავ. ცაგარელისა .	„ 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . . .	1 „
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . .	„ 50
ლედა, ანდერსენისა . . .	„ 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი .	1 „ მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . .	„ 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	„ 10
Давидъ Гареджели, Е. К. .	„ 15
ეტიუდები, თ. ხუსკოვაძისა	
ელენე, მოთხრობა .	
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	„ 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К. .	„ 20
ოცი წლის წინად, გ. წერეთლისა .	„ 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	„ 3
ამბავი მადლის ქვისა . . .	„ 5
ავადო სავმაწვიდო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	„ 1
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . . 1 მ.	„ 50
ბერანყე, თარგ. გ. გვაზავასი .	„ 40
ბენია.	„ 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუდეკისა	„ 15
ბაშა-აჩუკი, ავკაკისა. . . .	„ 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ.	„ 30
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ.	„ 20
ადმზრდელი, ავკაკისა . . .	„
გასართობი	„ 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჯ—სა .	„ 15
გუსტავ ვაზა	„ 5
ბატარა დორდის თავგადასავალი .	„ 30
ბატრა ვეფხვის ტყაოსანი. . .	„ 25
რამას განდეგნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	„ 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ეიფშიძისა . .	1 „
სპარტაკი, თარგ. ნ. ეიფოვანისა. .	„ 60
ვერო დღესასწაული . . .	„ 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. .	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . . .	„ 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . .	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	„ 40
თამარ-დედოფლის სამკუდი . .	„ 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა .	„ 50
ისტორია ქართულ სტამბებისა. .	„ 15
ანანიაურად., ნახუცრიშვილისა. .	„ 4[illegible]
კონსტიტუტები სამართველოს ისტორიიდგან I—II სრ. ქუთათელაძისა .	„ 60
სამეგრელოს ადწერა, თარ. ა. ჯეონიასი	1 „
სამხრეთი სამართველო, ზ. ჯ-სა .	„ 30
სუმაწვიდო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	„ 50
სუმბული, ს. ქვარიანისა. . .	„ 20
ტარტუფი, თარგ. ივ. მაჯავარიანისა	„ 50
უკვდავთა დადადებანი, მ. ჯანაშვილისა	„ 15
მეცნიერებისთვის წამებულნი . .	1 „
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნედო და ბატრაში, თარ. ედ. წერეთლისა	„ 10
ნათელა, ავკაკისა	„ 20
ნიკოდიზ ნიკოდაძე, ზ. ჯ—ისა .	„ 20
ნამდვილი სამსახური ბატაბენკოსი .	„ 40
Новая постановка педагогическаго дѣла. . . .	„ 20
სამი ბოემა, ან. ფურცელაძისა. .	„ 50
სხვავი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა.	„ 5
საარავო თავგადასავალი ტარტის შემკვდრისა, ი. გოგებაშვილისა .	„ 10
სახუმარო გასართობი . . .	„ 10
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა . . .	„ 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . .	„ 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	„ 40
ქეთო და სონა, სამაწვიდო მოთხრობა	„ 5
ქართველების გათათრება, ზ. ჯ—ისა	„ 25
კოპერნიკიდან დარვინამდე . .	„ 10
კანდელი, მ. დედაშვილისა . .	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Карга. ретели	30 „
კუბიკები ქართულის ანბანისა .	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა . . .	„ 50
ეედოშვილისა	„ 50

ᲐᲛᲮ. „ᲞᲔᲠᲛᲘᲩᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲔᲜᲛᲐᲮᲔᲠᲘ“

ღირს-ქმნილი თეისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡᲐ**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა **და** ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲖᲐᲕᲘ,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურ ენაზედ

ᲙᲝᲮᲢᲐᲓ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲐᲤᲐᲓ

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—20)

---

*) ამ მუხლის ძალა არ გავრცელდება იმ ზოგიერთ მოქმედებაზედ, რომელიც წინააღმდეგია ომიანობის ჩვეულებისა; ამისთანა საქმეებს განიხილავს სამხედრო სასამართლო ომიანობის გათავების შემდეგვე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 мая 1902 г. Типографія «Гугенберг» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი Ა. Ი. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ. გამომცემელი Ი. ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ.